ევროკავშირი
საქართველოსთვის
The European Union for Georgia

UNDP

საქართველოს 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების მედიაში გაშუქების კვლევა

ონლაინ მედიის მონიტორინგის ანგარიში

1 თებერვალი - 31 მარტი, 2021

წინამდებარე ანგარიში მომზადებული და გამოცემულია საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის მიერ ევროკავშირისა (EU) და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) ხელშეწყობით. ანგარიშის შინაარსზე პასუხისმგებელია მხოლოდ საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტია და მისი შინაარსის აღქმა ევროკავშირისა (EU) და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) პოზიციად დაუშვებელია.

სარჩევი

პროექტის შესახებ 3

კვლევის მეთოდოლოგია 3

მონიტორინგისთვის შერჩეული ონლაინ მედიასაშუალებების ანალიზი 5

ambebi.ge 5

interpressnews.ge 7

kvira.ge 9

mpn.ge 11

netgazeti.ge 13

news.on.ge 14

publika.ge 16

radiotavisupleba.ge 17

reginfo.ge 19

sknews.ge 20

sputnik-georgia.com 22

tabula.ge 23

გენდერული სტერეოტიპები ონლაინ მედიაში 26

პროექტის შესახებ

„საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტია“ გაეროს განვითარების პროგრამის პროექტის „საქართველოს 2020 წლის არჩევნების მედიაში გაშუქების კვლევა“ ფარგლებში, ევროკავშირის ფინანსური დახმარებით, დააკვირდა ონლაინ მედიის მიერ ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური პროცესების გაშუქებას 2021 წლის 1 თებრვლიდან 2021 წლის 31 მარტის ჩათვლით. მონიტორინგის ფარგლებში დაკვირვება ხდებოდა 12 ონლაინ მედიასაშუალებაზე: ambebi.ge, interpressnews. ge, kvira.ge, mpn.ge, netgazeti.ge, news.on.ge, publika.ge, radiotavisupleba.ge, reginfo. ge, sknews.ge, sputnik-georgia.com, tabula.ge.

კვლევის მეთოდოლოგია

ონლაინ მედიის მონიტორინგის მიზანი იყო იმის განსაზღვრა, თუ რამდენად თანაბარ პირობებში და ჟურნალისტური სტანდარტების დაცვით ხდებოდა პოსტსაარჩევნო პერიოდში პოლიტიკური პარტიების გაშუქება.

მედიამონიტორინგის ფარგლებში შერჩეულ მედიასაშუალებებზე დაკვირვება ხდებოდა როგორც რაოდენობრივი, ასევე, თვისებრივი კომპონენტების გათვალისწინებით. რაოდენობრივი კვლევისას ყურადღება გამახვილებული იყო იმაზე, თუ რა სიხშირითა და ტონით შუქდებოდა ესა თუ ის სუბიექტი შერჩეულ მედიასაშუალებაში. თვისებრივი დაკვირვებისას ყურადღება გამახვილებული იყო იმაზე, თუ რამდენად იცავდა შერჩეული მედიასაშუალება ჟურნალისტური ეთიკის სტანდარტებს, როგორიცაა: ფაქტის სიზუსტე, წყაროების მრავალფეროვნება, დაბალანსებული გაშუქება, ნებისმიერი ნიშნით დისკრიმინაციის წახალისება, გენდერული სტერეოტიპების ტირაჟირება, რაიმე სახის მანიპულაცია და ა.შ.

მონიტორინგის დროს, ასევე, ყურადღება ექცეოდა ონლაინ მედიის მიერ საკითხების ისეთ გაშუქებასა და ტერმინების გამოყენებას, რომლებიც საზოგადოებაში დამკვიდრებულ გენდერულ სტერეოტიპებს აძლიერებენ პირდაპირი ან ირიბად.

მონიტორინგის დროს დაკვირვება ხდებოდა 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებში მონაწილე პარტიებსა და პოლიტიკოსებზე. კერძოდ, მონიტორინგის სუბიექტები იყვნენ როგორც ის პარტიები, რომლებმაც 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნების შედეგად პარლამენტის მანდატები მოიპოვეს, ასევე ის პოლიტიკური გაერთიანებები, რომლებიც აქტიურად არიან ჩართულნი პოსტსაარჩევნო პერიოდში განვითარებულ პროცესებში.

მონიტორინგს ექვემდებარებოდა არა მხოლოდ პოლიტიკურ თემებზე მომზადებული სტატიები, არამედ ყველა მასალა, სადაც მონიტორინგის სუბიექტებზე იყო საუბარი. თუმცა, არჩევნების შემდგომ პერიოდში მიმდინარე პოლიტიკური პროცესებიდან გამომდინარე, მონიტორინგის დროს განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა შემდეგ

თემებს: პარლამენტის ბოიკოტი, საარჩევნო სისტემის რეფორმა, საარჩევნო ადმინისტრაციის რეფორმა, პოლიტიკური პარტიების დაფინანსება, პარლამენტის ხელახალი არჩევნები, ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები, მიტინგები/აქციები, ნიკა მელიას საქმე, მთავრობის ცვლილება, პოლიტიკური დიალოგი/მოლაპარაკებები.

ანგარიში მოიცავს 1 თებერვლიდან 31 მარტის ჩათვლით პერიოდში ონლაინ მედიის მონიტორინგის შედეგებს.

მასალების რაოდენობრივი და თვისებრივი ანალიზის შედეგად გამოვლინდა შემდეგი ძირითადი მიგნებები:

- პოსტსაარჩევნო პერიოდში ონლაინ მედიაში ყველაზე აქტიურად ევროკავშირის წარმომადგენელთა მედიაციით გამართულ პოლიტიკურ მოლაპარაკებებთან და ნიკა მელიას დაკავებასთან დაკავშირებული საკითხები შუქდებოდა;
- მონიტორინგისთვის შერჩეული ვებგვერდების აბსოლუტური უმრავლესობა პოლიტიკურ პარტიებს შორის ძირითადად „ქართულ ოცნებასა“ და „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ აშუქებდა. ამ პარტიებიდან თითოეულს ეთმობოდა მეტი გაშუქება, ვიდრე ყველა სხვა პარტიას ერთად;
- ონლაინ მედიაში პოლარიზაცია ნაკლებად შეინიშნება. მონიტორინგისთვის შერჩეული 12 ვებგვერდიდან 2-ის შემთხვევაში ცალსახად გამოიკვეთა, ერთი მხრივ, ხელისუფლების მუდმივად დადებითად წარმოჩენის, მეორე მხრივ კი, ოპოზიციონერ პოლიტიკოსთა დისკრედიტაციის მცდელობა. ამასთან, მონიტორინგისთვის შერჩეულ არც ერთ ონლაინ მედიასაშუალებაში არ შეინიშნებოდა განსაკუთრებულად დადებითი განწყობა რომელიმე ოპოზიციური პარტიის მიმართ;
- თითქმის არ გვხვდებოდა ჟურნალისტთა ტექსტებში სიძულვილის ენისა და დისკრიმინაციული ტერმინოლოგიის გამოყენების შემთხვევები. თუმცა დაკვირვების დროს გამოვლინდა ორი ონლაინ მედიასაშუალება, სადაც ხდებოდა პოლიტიკოსთა თუ საზოგადოებისთვის ცნობილ სხვა პირთა მიერ დისკრიმინაციის წამახალისებელი განცხადებების ტირაჟირება;
- სარეკლამო და სარედაქციო მასალების გამიჯვნა მწვავე გამოწვევად რჩება ონლაინ მედიასაშუალებების ნაწილისთვის. ხშირ შემთხვევებში მკითხველს არ ეძლევა საშუალება, რომ ნათლად გაარჩიოს გამოქვეყნებული სტატიებიდან რომელია სარეკლამო და რომელი რედაქციის მიერ მომზადებული ჟურნალისტური ნამუშევარი;
- წინასაარჩევნო პერიოდში განხორციელებული მედიამონიტორინგის შედეგებთან შედარებით, პოსტსაარჩევნო პერიოდში, შერჩეული ვებგვერდების დიდ უმრავლესობაში შეინიშნებოდა საკითხების მეტად დაბალანსებულად გაშუქება, განსაკუთრებით ევროკავშირის წარმომადგენელთა მედიაციით გამართული პოლიტიკური მოლაპარაკებების პერიოდში.

მონიტორინგისთვის შერჩეული ონლაინ მედიასაშუალებების ანალიზი:

ambebi.ge

მონიტორინგის პერიოდში ambebi.ge-ზე არ შეინიშნებოდა განსაკუთრებულად დადებითი ან უარყოფითი განწყობა რომელიმე პოლიტიკური ძალის მიმართ, თუმცა ვებგვერდზე ხშირად ქვეყნდებოდა დაუბალანსებელი სტატიები და ანონიმურ წყაროებზე დაყრდნობილი დაუდასტურებელი ცნობები.

ambebi.ge-ზე უარყოფითი ტონის მაჩვენებლები ჭარბობდა „ქართული ოცნების“ (27%), „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ (17%), ბიძინა ივანიშვილისა (45%) და მიხეილ სააკაშვილის გაშუქებისას (30%). დადებითი ტონის მაღალი პროცენტული მაჩვენებლები კი „მოქალაქეებსა“ და „ლელოს“ ერგოთ.

ambebi.ge-ზე ხშირად ქვეყნდებოდა პოლიტიკასთან დაკავშირებული დაუდასტურებელი ცნობები, რომლებიც ეყრდნობოდა ანონიმურ წყაროებს. მაგალითად, სტატიაში - „უგულავა ცდილობს ურთიერთობა სააკაშვილთან დაალაგოს“ - რისთვის ჩაფრინდა კიევში უგულავა და ბრუნდება თუ არა „ნაცმოძრაობაში“? (12 თებერვალი) - გამოცემა “სანდო წყაროზე” დაყრდნობით ავრცელებს დაუდასტურებელ ინფორმაციას, რომ უგულავა “ნაციონალურ მოძრაობაში” აპირებს დაბრუნებას და ამ მიზნით შეხვდა კიევში მიხეილ სააკაშვილს. გამოცემას არ უცდია ამ ინფორმაციის გადამოწმება უშუალოდ გიგი უგულავასთან ან “ნაციონალური მოძრაობის” წარმომადგენლებთანცხადია, რომ ჟურნალისტური საქმიანობისას დასაშვებია ანონიმურ და არაიდენტიფიცირებულ წყაროზე დაყრდნობით მოპოვებული ცნობების გაშუქება, თუმცა ჟურნალისტმა ყველა ღონე უნდა იხმაროს ანონიმური წყაროს მიერ მიწოდებული ინფორმაციის გადამოწმებისთვის.

პოლიტიკურ საკითხებს შორის მონიტორინგის პერიოდში ყველაზე აქტიურად ნიკა მელიას დაკავებასთან დაკავშირებული თემები გაშუქდა. აქტიურად და ბალანსის დაცვით შუქდებოდა ევროკავშირის წარმომადგენელთა მედიაციით გამართული პოლიტიკური მოლაპარაკებების პროცესიც. აღსანიშნავია, რომ ambebi.ge მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს ხშირ შემთხვევებში აშუქებს მხოლოდ ფრაგმენტულად და მეტ ყურადღებას უთმობს პოლიტიკოსთა პირად ცხოვრებასთან დაკავშირებულ საკითხებს (მაგალითად, „ქართველი პოლიტიკოსი მამაკაცების არაპოლიტიკური „დრეს-კოდი“ - ვინ არის ყველაზე გემოვნებიანი“ (11 თებერვალი); „კახა კახიშვილი ბაბუა გახდა - პატარას ბაბუის სახელი დაარქვეს“ (15 თებერვალი); „გზავნილი საკანი 224-დან...“ - როგორ მიულოცა ნიკა მელიამ საყვარელ ქალს 8 მარტი“ (8 მარტი).

მონიტორინგის შედეგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ambebi.ge-ზე არ შეინიშნებოდა რომელიმე პოლიტიკური ძალის განსაკუთრებულად დადებითად წარმოჩენის ან დისკრიმინაციის მცდელობა. თუმცა ვებგვერდის გამოწვევას წარმოადგენს არაიდენტიფიცირებულ წყაროებზე დაყრდნობილი დაუდასტურებელი ფაქტების

შემცველი მასალების სიმრავლე. ასევე, ambebi.ge-ზე სარეკლამო სტატიები მკაფიოდ არ არის გამიჯნული სარედაქციო მასალებისგან და შედეგად, მკითხველს რიგ შემთხვევებში არ ეძლევა საშუალება, რომ გაარჩიოს, თუ რომელი სტატიაა სარეკლამო, ხოლო რომელი წარმოადგენს დამოუკიდებელ ჟურნალისტურ ნამუშევარს.





*დიაგრამაზე მოცემულია მხოლოდ ის თემები, სადაც მონიტორინგის სუბიექტები გაშუქდნენ

interpressnews.ge

მონიტორინგის პერიოდში interpressnews.ge-ზე არ შეინიშნებოდა ცალსახად დადებითი ან უარყოფითი განწყობა რომელიმე პოლიტიკური ძალის მიმართ, თუმცა ვებგვერდის გამოწვევაა მიმდინარე მოვლენების ზედაპირული გაშუქება, ცალკეულ სტატიებში ბალანსის პრობლემა და კომერციული ხელშეკრულების ფარგლებში მომზადებული სტატიების არასათანადო გამიჯვნა სარედაქციო მასალებისგან.

უარყოფითი ტონის მაღალი პროცენტული მაჩვენებლები გამოვლინდა „ქართული ოცნების“ (27%), „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ (20%), ბიძინა ივანიშვილისა (80%) და მიხეილ სააკაშვილის (56%) გაშუქებისას. დადებითი ტონის განსაკუთრებულად მაღალი მაჩვენებლები მონიტორინგის არც ერთი სუბიექტის გაშუქებისას არ გამოვლენილა.

interpressnews.ge-ზე კომერციული ხელშეკრულების ფარგლებში მომზადებულ სტატიებს უმეტეს შემთხვევებში ერთვის წრეში მოთავსებული ლათინური სიმბოლოები NS, რაც მკითხველისთვის დამაბნეველია, ვინაიდან ცხადად არ არის მითითებული, რომ მასალა დაფინანსებული და სარეკლამოა.

NS ნიშნით ქვეყნდებოდა არა მხოლოდ პოლიტიკურ პარტიათა მიერ დაფინანსებული მასალები, არამედ სხვადასხვა სახელმწიფო უწყების მიერ მომზადებული პრეს-რელიზებიც. მაგალითად, 4 თებერვალს NS ნიშნით გამოქვეყნებული სტატია „ნიკოლოზ სამხარაძე კარლ ჰარცელს შეხვდა“ იდენტური სათაურით, ფოტოსურათითა და ტექსტით გამოქვეყნდა პარლამენტის ვებგვერდზე parliament.ge; 8 თებერვალს NS ნიშნით გამოქვეყნებული სტატია „მაია ბითაძე - მნიშვნელოვანია, რომ ახალი სამართლებრივი რეგულაციების შესაქმნელად პროცესში ბიზნეს სექტორიც ადრეულ ეტაპზე ჩაერთოს“ მსგავსი სათაურითა და ტექსტით გამოქვეყნდა ვებგვერდზე parliament.ge

პოლიტიკური პარტიების მიერ დაფინანსებულ სტატიებში გვხვდებოდა გონივრული ბალანსის დაცვის პრობლემები, ვინაიდან ასეთ სტატიებში ხელისუფლების მიმართ ბრალდებები წარმოდგენილი იყო ცალმხრივად..

Interpressnews.ge-ზე ყველა მიმდინარე პოლიტიკური თემა შუქდებოდა აქტიურად და ოპერატიულად. თუმცა პოლიტიკოსთა გაშუქებისას ბალანსის დაცვის პრობლემა გამოიხატება იმაში, რომ სხვადასხვა დაპირისპირებული მხარის კომენტარები შუქდება ცალ-ცალკე სტატიებად, რომლებიც ტექნიკურად არ ებმის ერთმანეთს და შესაბამისად, მკითხველს ხშირად არ ეძლევა საშუალება, რომ განსხვავებულ მოსაზრებებსა და დაბალანსებულ ცნობებს გაეცნოს ცალკეულ სტატიებში.

მონიტორინგის შედეგად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ interpressnews.ge-ს უმწვავეს გამოწვევას წარმოადგენს დაფინანსებული სტატიების არასათანადო გამიჯვნა სარედაქციო მასალებისგან. შედეგად, ვებგვერდის მკითხველს არ ეძლევა საშუალება, რომ გაარჩიოს თუ რომელი სტატიაა სარეკლამო და რომელი წარმოადგენს დამოუკიდებელ ჟურნალისტურ ნამუშევარს.





*დიაგრამაზე მოცემულია მხოლოდ ის თემები, სადაც მონიტორინგის სუბიექტები გაშუქდნენ

kvira.ge

მონიტორინგის პერიოდში kvira.ge-ზე ცხადად შეინიშნებოდა ერთი მხრივ მმართველი პარტიის დადებითად წარმოჩენის, ხოლო, მეორე მხრივ, ოპოზიციონერ პოლიტიკოსთა დისკრედიტაციის მცდელობა. ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური პროცესები შუქდებოდა ზედაპირულად და ცალმხრივად.

kvira.ge-ზე უარყოფითი ტონის მაღალი პროცენტული მაჩვენებლები გამოვლინდა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ (41%), „ევროპული საქართველოსა“ (25%) და მიხეილ სააკაშვილის (72%) გაშუქებისას. დადებითი ტონის მაღალი მაჩვენებელი კი „ქართულ ოცნებას“ (21%) ერგო.

მიმდინარე პოლიტიკურ მოვლენებს შორის ყველაზე მეტი გაშუქება ნიკა მელიას დაკავების საქმესა და ევროკავშირის წარმომადგენელთა მედიაციით გამართულ პოლიტიკურ მოლაპარაკებებს დაეთმო. kvira.ge უმეტესად მოკლე სტატიებს აქვეყნებდა, რომლებშიც ძირითადად „ქართული ოცნების“ წარმომადგენელთა თუ მხარდამჭერთა მოსაზრებები იყო წარმოდგენილი. ვებგვერდზე რიგ შემთხვევებში ქვეყნდებოდა ვრცელი ინტერვიუებიც, რომლებშიც რესპონდენტებად „ქართული ოცნების“ მიმართ დადებითად განწყობილი ექსპერტები იყვნენ წარმოდგენილნი. ასეთ ინტერვიუებში ხშირად ჩანდა თავად ჟურნალისტთა უარყოფითი განწყობა ოპოზიციონერ პოლიტიკოსთა მიმართ. როგორც მოკლე სტატიებში, ასევე ინტერვიუებში, მოვლენები შუქდებოდა ცალმხრივად და ნებისმიერი საკითხის გაშუქებისას ცხადად შეინიშნებოდა მმართველი პარტიის დადებითად წარმოჩენის მცდელობა.

kvira.ge-ზე ხშირად შუქდებოდა საზოგადოებისთვის მეტად თუ ნაკლებად ცნობილ პირთა მიერ სოციალურ ქსელში გამოქვეყნებული განცხადებები, რომლებშიც წარმოდგენილი იყო ოპოზიციონერ პოლიტიკოსთა კრიტიკა; მაგალითად: „ზაალ ანჯაფარიძე: ვერ გამოვა სააკაშვილის თუ სხვა დამნაშავეთა ამნისტირება ისევე, როგორც დენაციფიკაციის პროცესში არ განიხილება ნაცისტთა ამნისტია“ (29 მარტი); „ვლადიმერ ბოჟაძე: მიხეილ სააკაშვილი გინდათ, პოლიტიკურ პროცესში დააბრუნოთ, გარეთ კუბილიუსი და შიგნით გვარამიას აღსარებები ამ მიზანს ემსახურება - არ გამოგივათ, მეგობრებო“ (29 მარტი).

kvira.ge უცვლელად აქვეყნებს სამთვრობო უწყებების მიერ მომზადებულ პრესრელიზებს, რომლებიც პოზიტიურ ჭრილში წარმოაჩენს მთავრობის საქმიანობას.

მონიტორინგის შედეგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ kvira.ge-ს მიზანი არა მიმდინარე პოლიტიკური პროცესების ობიექტური გაშუქება, არამედ მმართველი პარტიის მიმართ დადებითი განწყობის შექმნა და ოპოზიციონერ პოლიტიკოსთა დისკრედიტაციაა.





*დიაგრამაზე მოცემულია მხოლოდ ის თემები, სადაც მონიტორინგის სუბიექტები გაშუქდნენ

mpn.ge

მონიტორინგის პერიოდში mpn.ge-ზე ცხადად შეინიშნებოდა ერთი მხრივ მმართველი პარტიის უაღრესად დადებითად წარმოჩენის, მეორე მხრივ, კი, ოპოზიციონერ პოლიტიკოსთა დისკრედიტაციის მცდელობა. გამოცემა ხშირად იყენებს უხამს ლექსიკას და სიძულვილის ენას ოპოზიციის წარმომადგენლებთან მიმართებაში. ვებგვერდზე სისტემატურად ირღვევა სიზუსტისა და სხვა ჟურნალისტური პრინციპები.

mpn.ge-ზე დადებითი ტონის მაღალი მაჩვენებლები გამოვლინდა „ქართული ოცნებისა“ (28%) და ბიძინა ივანიშვილის (55%), ხოლო უარყოფითი ტონის უკიდურესად მაღალი მაჩვენებლები „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ (75%), „ევროპული საქართველოსა“ (69%) და მიხეილ სააკაშვილის (82%) გაშუქებისას.

mpn.ge-ზე ყველა მიმდინარე მოვლენა შუქდებოდა ცალმხრივად და ჟურნალისტური სტანდარტების უკიდურესად უხეში დარღვევების ფონზე. მმართველი პარტიის ლიდერების მსგავსად, გამოცემა “რადიკალურ ოპოზიციად” მოიხსენიებს ოპოზიციურ პარტიებს. გამოცემა ხშირად იყენებს სიძულვილის ენასა და უკიდურესად შეურაცხმყოფელ ტერმინოლოგიას ოპოზიციონერ პოლიტიკოსთა მიმართ, მათ შორის, ხშირად, სტატიების სათაურებში; მაგალითად: „ნაცისტანის პრო(ჭ)პაგანდას საკბილო არ მიეცა! - ჯაბა ხუბუა“ (16 თებერვალი); „ვინ ძალადობდა მიხეილ სააკაშვილის დედაზე - მიშას დედაზე ვძალადობდით დღისით და ღამით, ზამთარ-ზაფხულ, ჭამის წინ და ჭამის შემდეგ, ვძალადობდით ფხიზლები და მთვრალები“ (8 მარტი); „რატომ არიან „ნაცსექტანტები“ გონებაჩლუნგები - ეს პოლიტიკური პარაზიტები ნელ-ნელა გაქრებიან“ (16 მარტი).

შეურაცხმყოფელი ტერმინოლოგია ხშირად გვხვდებოდა არა მხოლოდ ოპოზიციონერ პოლიტიკოსთა, არამედ ხელისუფლების მიმართ კრიტიკულად განწყობილი მედიის წარმომადგენელთა მიმართაც. მაგალითად, ტელეკომპანია „ფორმულას“ ჟურნალისტ ვახო სანაიაზე თავდასხმის შემდეგ mpn.ge-ზე გამოქვეყნდა სტატია სათაურით „ესაა ჟურნალისტიკა? ფაშისტები ხართ ჩვეულებრივი! თქვე სირებო თქვენა წამლავ ადამიანების ფსიქიკას, მათ ნერვებზე ხტუნაობ, მოღალატეები გმირად გამოგყავს, ნაძირლები - მისაბაძ ადამიანებად, ბუზი სპილოდ - ნინო ლაბარტყავა“ (28 თებერვალი). სტატიაში, სათაურით - “დაქირავებული ძუკნები ბერას წინააღმდეგ – “ტვ პირველის” ცილისწამებას ტელეკომპანია “ფორმულა” შეუერთდა – კიდევ რას დააბრალებენ ბერას” (7 მარტი) - ჟურნალისტები მოხსენიებულნი არიან “დაქირავებულ ძუკნებად”.

სისტემატურად გვხვდებოდა დაუდასტურებელი ფაქტებისა და დაუსაბუთებელი ბრალდებების გაშუქება ოპოზიციონერ პოლიტიკოსთა მიმართ. მაგალითად, 10 მარტს გამოქვეყნდა სტატია სათაურით „მიხეილ სააკაშვილმა „ტვ პირველის“ ჟურნალისტების ნოდარ მელაძის და მაკა ჩიხლაძის მკვლელობა დაგეგმა“.

mpn.ge განსაკუთრებულად აქტიურად აშუქებდა „ქართული ოცნების“ წარმომადგენელთა და მხარდამჭერთა განცხადებებს ბერა ივანიშვილისა და ირაკლი ღარიბაშვილის სავარაუდო სატელეფონო ჩანაწერების გავრცელების შემდეგ. ამ თემასთან დაკავშირებული სტატიებიც ქვეყნდებოდა შეურაცხმყოფელი ტერმინოლოგიის შემცველი სათაურებით; მაგალითად „რა ხდება? ბოზები და გარყვნილები, პატიოსან ადამიანს რომ დაუწუნებენ ცხოვრების

წესს, მისაღებია?! - კარლო კოპალიანი“ (8 მარტი); ”ეს ტელესაროსკიპოები ფსიქოლოგიურ ტერორს ეწევიან – გოგა ხაინდრავა” (9 მარტი).

mpn.ge ხშირად ავრცელებდა დაუდასტურებელ ბრალდებებს როგორც ოპოზიციის, ისე ხელისუფლების ყოფილი მაღალჩინოსნების ან ხელისუფლებისადმი კრიტიკული განცხადებების ავტორი ევროპელი პოლიტიკოსების მიმართ. ამის ნათელი მაგალითებია სტატიები, ასეთი სათაურებით: „სააკაშვილს კოვზი ნაცარში ისევ ჩაუვარდა - ე.წ. დამოუკიდებელი დიპლომატები გაიშიფრნენ - ვის ტ(@)აკში აქვს ხელი შეყოფილი მიშას“ (20 თებერვალი); გახარიას მზაკვრული ღალატი და გეგმა – როგორ გადარჩა საქართველო “ვარდების რევოლუცია 2”-ს (18 თებერვალი); .ვინ არის სინამდვილეში ნიკა მელია – მხოლოდ ფაქტები – წმინდანად შერაცხული ნაძირალის ქრონიკა (23 თებერვალი).





*დიაგრამაზე მოცემულია მხოლოდ ის თემები, სადაც მონიტორინგის სუბიექტები გაშუქდნენ

netgazeti.ge

მონიტორინგის პერიოდში netgazeti.ge გამოირჩეოდა საკითხების სიღრმისეული და მიუკერძოებელი გაშუქებით. ვებგვერდი მაღალ დონეზე იცავდა ჟურნალისტურ სტანდარტებს და აქტიურად აშუქებდა მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს.

netgazeti.ge-ზე უარყოფითი ტონის მაღალი მაჩვენებლები გამოვლინდა „ქართული ოცნების“ (32%), ბიძინა ივანიშვილის (68%), მიხეილ სააკაშვილისა (35%) და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ (9%) გაშუქების დროს. დადებითი ტონის განსაკუთრებულად მაღალი პროცენტული მაჩვენებლები მონიტორინგის არც ერთი სუბიექტის გაშუქებისას არ გამოვლენილა.

მონიტორინგის პერიოდში netgazeti.ge აქტიურად აშუქებდა ევროკავშირის წარმომადგენელთა მედიაციით გამართულ მოლაპარაკებებს პოლიტიკურ პარტიებს შორის. აღნიშნული საკითხი შუქდებოდა მიუკერძოებლად და მკითხველს ეძლეოდა საშუალება, რომ მიეღო სიღრმისეული და დაბალანსებული ინფორმაცია მოლაპარაკებების შესახებ.

მონიტორინგის შედეგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ netgazeti.ge-მ აქტიურად და მიუკერძოებლად გააშუქა როგორც პოლიტიკური პარტიების მოლაპარაკებების პროცესი, ასევე ყველა სხვა მიმდინარე მნიშვნელოვანი პოლიტიკური მოვლენა.





*დიაგრამაზე მოცემულია მხოლოდ ის თემები, სადაც მონიტორინგის სუბიექტები გაშუქდნენ

news.on.ge

მონიტორინგის პერიოდში news.on.ge აქტიურად და მიუკერძოებლად აშუქებდა მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს. ვებგვერდზე სრულად იყო დაცული ჟურნალისტური სტანდარტები.

news.on.ge-ზე უარყოფითი ტონის მაღალი პროცენტული მაჩვენებლები გამოვლინდა „ქართული ოცნების“ (25%), „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ (9%), ბიძინა ივანიშვილისა (65%) და მიხეილ სააკაშვილის (53%) გაშუქებისას. დადებითი ტონის მაღალი მაჩვენებლები მონიტორინგის არც ერთი სუბიექტის გაშუქებისას არ გამოვლენილა.

news.on.ge აქტიურად აშუქებდა ქვეყანაში მიმდინარე ყველა პოლიტიკურ მოვლენას. განსაკუთრებული სიხშირით შუქდებოდა მასალები ნიკა მელიას დაკავებისა და ევროკავშირის წარმომადგენელთა მედიაციით გამართული მოლაპარაკებების შესახებ. ვებგვერდი არ გამოირჩეოდა ანალიტიკური მასალების სიმრავლით, თუმცა ცალკეულ სტატიებს, უმეტეს შემთხვევებში, ერთვოდა ზოგადი ინფორმაცია საკითხის შესახებ და მსგავს საკითხებზე მომზადებული სტატიები ხშირად ტექნიკურად, ჰიპერლინკის მეშვეობით, ებმოდა ერთმანეთს, რაც მკითხველს აძლევდა საშუალებას, რომ მიეღო მეტად სრულყოფილი ინფორმაცია საკითხის შესახებ.

მონიტორინგის შედეგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ news.og.ge აქტიურად და მიუკერ-ძოებლად აშუქებდა ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს.





*დიაგრამაზე მოცემულია მხოლოდ ის თემები, სადაც მონიტორინგის სუბიექტები გაშუქდნენ

publika.ge

მონიტორინგის პერიოდში publika.ge-ზე არ შეინიშნებოდა დადებითი ან უარყოფითი განწყობა რომელიმე პოლიტიკური ძალის მიმართ. მიმდინარე პოლიტიკური პროცესები შუქდებოდა მიუკერძოებლად და ჟურნალისტური ეთიკის მაღალ დონეზე დაცვით.

publika.ge-ზე უარყოფითი ტონის მაღალი პროცენტული მაჩვენებლები გამოვლინდა „ქართული ოცნების“ (31%), „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“(14%), ბიძინა ივანიშვილისა (71%) და მიხეილ სააკაშვილის (57%) გაშუქებისას. დადებითი ტონის მაღალი მაჩვენებლები მონიტორინგის არც ერთი სუბიექტის გაშუქებისას არ გამოვლენილა.

მიმდინარე პოლიტიკურ საკითხებს შორის publika.ge-ზე ყველაზე აქტიურად ნიკა მელიას დაკავება და ევროკავშირის წარმომადგენელთა მედიაციით გამართული პოლიტიკური მოლაპარაკებების პროცესი გაშუქდა. ამ და სხვა საკითხების გაშუქება ხდებოდა მიუკერძოებლად და გონივრული ბალანსის დაცვით. publika.ge-ს სტატიებს, უმეტეს შემთხვევებში, ერთვოდა ზოგადი ინფორმაცია და მსგავს საკითხებზე მომზადებული სტატიები ხშირად ტექნიკურად, ჰიპერლინკის მეშვეობით, ებმოდა ერთმანეთს, რაც მკითხველს აძლევდა საშუალებას, რომ მიეღო მეტად სრულყოფილი ინფორმაცია საკითხის შესახებ.

მონიტორინგის შედეგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ publika.ge-მ აქტიურად და მიუკერძოებლად გააშუქა ქვეყანაში მიმდინარე მნიშვნელოვანი პოლიტიკური მოვლენები.





*დიაგრამაზე მოცემულია მხოლოდ ის თემები, სადაც მონიტორინგის სუბიექტები გაშუქდნენ

radiotavisupleba.ge

მონიტორინგის პერიოდში radiotavisupleba.ge გამოირჩეოდა საკითხების სიღრმისეული გაშუქებითა და ანალიტიკური სტატიების სიმრავლით. ვებგვერდზე მიმდინარე პოლიტიკური პროცესები შუქდებოდა მიუკერძოებლად და ჟურნალისტური სტანდარტების მაღალ დონეზე დაცვით.

radiotavisupleba.ge-ზე უარყოფითი ტონის მაღალი პროცენტული მაჩვენებლები გამოვლინდა „ქართული ოცნების“ (25%), ბიძინა ივანიშვილის (67%), „ერთიანი ნაციონალური მოძრაობისა“ (10%) და მიხეილ სააკაშვილის (32%) გაშუქებისას. დადებითი ტონის მაღალი პროცენტული მაჩვენებლები მონიტორინგის არც ერთი სუბიექტის გაშუქებისას არ გამოვლენილა.

მონიტორინგის პერიოდში radiotavisupleba.ge განსაკუთრებულად აქტიურად აშუქებდა ნიკა მელიას დაკავებასთან დაკავშირებულ საკითხებსა და ევროკავშირის წარმომადგენელთა მედიაციით გამართულ პოლიტიკურ მოლაპარაკებებს. აღნიშნული საკითხები შუქდებოდა მიუკერძოებლად და სიღრმისეულად, რაც მკითხველს აძლევდა საშუალებას, რომ მიეღო დაბალანსებული და მრავალმხრივი ინფორმაცია მიმდინარე პროცესების შესახებ.

მონიტორინგის შედეგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ radiotavisupleba.ge-მ მიმდინარე პოლიტიკური პროცესები გააშუქა აქტიურად და მიუკერძოებლად. ვებგვერდი გამოირჩევა საკითხების სიღრმისეული გაშუქებით.





*დიაგრამაზე მოცემულია მხოლოდ ის თემები, სადაც მონიტორინგის სუბიექტები გაშუქდნენ

reginfo.ge

მონიტორინგის პერიოდში reginfo.ge პოლიტიკურ პროცესებს აშუქებდა მიუკერძოებლად და ჟურნალისტური ეთიკის სტანდარტების მაღალ დონეზე დაცვით.

reginfo.ge-ზე უარყოფითი ტონის შედარებით მაღალი პროცენტული მაჩვენებლები გამოვლინდა „ქართული ოცნებისა“ (22%) და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ (14%) გაშუქებისას. დადებითი ტონის მაღალი მაჩვენებელი კი პარტია „მოქალაქეებს“ (15%) ერგო.

მიმდინარე პოლიტიკურ მოვლენებს შორის reginfo.ge-მ ყველაზე აქტიურად ნიკა მელიას საქმე და ევროკავშირის წარმომადგენელთა მედიაციით გამართული პოლიტიკური მოლაპარაკებების პროცესი გააშუქა. ამ და სხვა მნიშვნელოვანი საკითხების გაშუქებისას ვებგვერდზე არ შეინიშნებოდა განსაკუთრებულად დადებითი ან უარყოფითი განწყობა რომელიმე პოლიტიკური ძალის მიმართ.

Reginfo.ge არ გამოირჩეოდა ანალიტიკური მასალების სიმრავლით, თუმცა ცალკეულ სტატიებს, უმეტეს შემთხვევებში, ერთვოდა ზოგადი ინფორმაცია, რაც მკითხველს აძლევდა საშუალებას, რომ მიეღო მეტად სრულყოფილი ინფორმაცია საკითხის შესახებ.





*დიაგრამაზე მოცემულია მხოლოდ ის თემები, სადაც მონიტორინგის სუბიექტები გაშუქდნენ

sknews.ge

sknews.ge რეგიონული გამოცემაა და შესაბამისად, მონიტორინგის პერიოდში უმეტესად აშუქებდა სამცხე-ჯავახეთის რეგიონში მიმდინარე მოვლენებს. ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს მასალების მცირე რაოდენობა დაეთმო - მონიტორინგის ორთვიან პერიოდში გამოქვეყნდა სულ 43 სტატია, რომლებშიც მონიტორინგის სუბიექტები იყვნენ წარმოდგენილნი. აღნიშნული სტატიები მომზადებული იყო ჟურნალისტური ეთიკის სტანდარტების მაღალ დონეზე დაცვით.

sknews.ge-ზე უარყოფითი ტონის მაღალი პროცენტული მაჩვენებლები გამოვლინდა „ქართული ოცნების“ (20%), „ერთიანი ნაციონალური მოძრაობისა“ (16%) და ბიძინა ივანიშვილის (67%) გაშუქებისას. დადებითი ტონის მაღალი მაჩვენებლები მონიტორინგის არც ერთი სუბიექტის გაშუქებისას არ გამოვლენილა.

ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ საკითხებს შორის ყველაზე მეტი სტატია ნიკა მელიას დაკავებასთან დაკავშირებით გამოქვეყნდა. ამ და სხვა საკითხებს sknews.ge აშუქებდა მიუკერძოებლად და ვებგვერდზე არ შეინიშნებოდა განსაკუთრებულად დადებითი ან უარყოფითი განწყობა რომელიმე პოლიტიკური ძალის მიმართ.

მონიტორინგის შედეგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ sknews.ge მიმდინარე მოვლენებს აშუქებს მიუკერძოებლად.





*დიაგრამაზე მოცემულია მხოლოდ ის თემები, სადაც მონიტორინგის სუბიექტები გაშუქდნენ

sputnik-georgia.com

მონიტორინგის პერიოდში sputnik-georgia.com-ზე შეინიშნებოდა დადებითი განწყობა მმართველი პარტიის მიმართ. ვებგვერდზე არ გვხვდებოდა ჟურნალისტური სტანდარტების განსაკუთრებულად უხეში დარღვევის შემთხვევები, თუმცა მიმდინარე პოლიტიკური პროცესები უმეტესად შუქდებოდა ფრაგმენტულად, რაც ვებგვერდის მკითხველს არ აძლევდა საშუალებას, რომ სრულფასოვნად და სიღრმისეულად გაცნობოდა ქვეყანაში მიმდინარე მნიშვნელოვან მოვლენებს.

sputnik-georgia.com-ზე უარყოფითი ტონის შედარებით მაღალი პროცენტული მაჩვენებლები გამოვლინდა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობისა“ (6%) და „ევროპული საქართველოს“ (7%) გაშუქებისას. დადებითი ტონის მაღალი მაჩვენებელი კი პარტია „მოქალაქეებს“ (14%) ერგო.

მიმდინარე პოლიტიკურ საკითხებს შორის sputnik-georgia.com-ზე ყველაზე აქტიურად ნიკა მელიას დაკავების საქმე და სხვადასხვა საპროტესტო აქცია გაშუქდა. მმართველი პარტიის მიმართ დადებითი განწყობა უმეტესად გამოიხატებოდა იმაში, რომ მიმდინარე მოვლენების შესახებ უმეტესად მმართველი პარტიის წარმომადგენელთა მოსაზრებები შუქდებოდა.

მონიტორინგის შედეგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ sputnik-georgia.com-ზე მიმდინარე პოლიტიკური პროცესები შუქდებოდა ფრაგმენტულად და ზედაპირულად. რიგ შემთხვევებში შეინიშნებოდა დადებითი განწყობა მმართველი პარტიის მიმართ.





*დიაგრამაზე მოცემულია მხოლოდ ის თემები, სადაც მონიტორინგის სუბიექტები გაშუქდნენ

tabula.ge

მონიტორინგის პერიოდში tabula.ge-ზე შეინიშნებოდა უარყოფითი განწყობა მმართველი პარტიის მიმართ. ცალკეულ სტატიებში დაცული იყო ჟურნალისტური ეთიკის სტანდარტები, თუმცა, რიგ შემთხვევებში, გვხვდებოდა ფოტომანიპულაციის შემთხვევები.

tabula.ge-ზე უარყოფითი ტონის მაღალი მაჩვენებლები გამოვლინდა „ქართული ოცნებისა“ (33%) და ბიძინა ივანიშვილის (72%) გაშუქებისას. უარყოფითი ტონი პროცენტულად ჭარბობდა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობისა“ (10%) და მიხეილ სააკაშვილის (39%) გაშუქების დროსაც. დადებითი ტონის მაღალი მაჩვენებლები მონიტორინგის არც ერთი სუბიექტის გაშუქებისას არ გამოვლენილა.

მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს შორის tabula.ge-ზე ყველაზე აქტიურად ნიკა მელიას დაკავება და ევროკავშირის წარმომადგენელთა მედიაციით გამართული პოლიტიკური მოლაპარაკებები შუქდებოდა. სტატიები მზადდებოდა ჟურნალისტური ეთიკის დაცვით, თუმცა ხშირად გვხვდებოდა ფოტომანიპულაციის შემთხვევები - „ქართული ოცნების“ ლიდერთა განცხადებების შესახებ მომზადებულ სტატიებს ხშირად ერთვოდა ისეთი რაკურსით გადაღებული ფოტოსურათები, რომლებზეც ისინი არაადეკვატურად, სასაცილოდ ან დაკნინებულად გამოიყურებოდნენ.

ასევე, tabula.ge-ზე შეინიშნებოდა ტენდენცია, რომ მმართველი გუნდის მიმართ გამოთქმული კრიტიკული მოსაზრებები შუქდებოდა რამდენჯერმე ერთი დღის

განმავლობაში. მაგალითად, ლიეტუველი პოლიტიკოსის, ჟიგიმანტას პავილიონისის, კრიტიკული განცხადება ხელისუფლები მიმართ tabula.ge-ზე 20 თებერვალს გამოქვეყნდა ორი განსხვავებული სათაურით, თუმცა აბსოლუტურად იდენტური ტექსტით; ევროპაში აშშ-ის სამხედრო ძალების ყოფილი ხელმძღვანელის, გენერალ ბენ ჰოჯესის, კრიტიკული განცხადება ნიკა მელიას დაკავებასთან დაკავშირებით 23 თებერვალს გამოქვეყნდა ორი განსხვავებული სათაურით, თუმცა აბსოლუტურად იდენტური ტექსტით. ასეთ შემთხვევებს ტენდენციური ხასიათი ჰქონდა და ძირითადად შეინიშნებოდა როდესაც უარყოფითი განცხადებები კეთდებოდა საქართველოს ხელისუფლების მიმართ.

მონიტორინგის შედეგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ tabula.ge ერთი მხრივ ახერხებდა მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებთან დაკავშირებით სანდო ინფორმაციის გავრცელებას, მეორე მხრივ კი ვებგვერდზე შეინიშნებოდა გამოკვეთილად უარყოფითი განწყობა მმართველი გუნდის მიმართ, რაც ხშირად გამოიხატებოდა ფოტომანიპულაციებშიც.





*დიაგრამაზე მოცემულია მხოლოდ ის თემები, სადაც მონიტორინგის სუბიექტები გაშუქდნენ

გენდერული სტერეოტიპები ონლაინ მედიაში

მონიტორინგის პერიოდში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო იმაზე დაკვირვებას, თუ რამდენად იცავენ ონლაინ მედიასაშუალებები პროფესიულ სტანდარტებს პოლიტიკოსთა თუ საზოგადოებისთვის ცნობილ სხვა პირთა მიერ გენდერული ნიშნით დისკრიმინაციისა თუ გენდერული სტერეოტიპების შემცველი განცხადებების გაშუქებისას.

მონიტორინგის შედეგად გამოვლინდა, რომ ონლაინ მედიაში პრობლემას წარმოადგენს გენდერული სტერეოტიპების შემცველი თუ სექსისტური განცხადებების გაშუქების სტანდარტის უგულებელყოფა, რაც გამოიხატება იმაში, რომ ვებგვერდების ნაწილი ასეთ განცხადებებს აქვეყნებს უცვლელად, შესაბამისი სარედაქციო კომენტარებისა თუ სხვა შეფასებების გარეშე, რაც ახალისებს გენდერული ნიშნით დისკრიმინაციას მედიის მხრიდან.

მაგალითები:

- 16 მარტს ონლაინ მედიასაშუალებებმა გამოაქვეყნეს მასალები თეა წულუკიანის განცხადების შესახებ პარლამენტში, რომლითაც ოპოზიციონერ დეპუტატ ალეკო ელისაშვილს მიმართა: "ღმერთს ადამიანისთვის ენა იმისთვის არ მიუცია და, მით უმეტეს, კაცისთვის, რომ ყველაფერი ილაპარაკოს". ეს განცხადება გენდერულ სტერეოტიპს ახალისებდა, რომლის მიხედვით, კაცი ქალთან შედარებით სიტყვაძუნწი უნდა იყოს. ონლაინ მედიამ შესაბამისი ახსნისა და კომენტარის გარეშე გაავრცელეს იგი, რითაც ხელი შეუწყვეს გენდერული სტერეოტიპის ტირაჟირებას. მედიასაშუალებებმა, ასევე, უკომენტაროდ გაავრცელეს ამ განცხადებაზე ელისაშვილის სექსისტური გამოხმაურება, სადაც ის ამბობდა: "წულუკიანი რომ არ ყოფილიყო ქალი, სხვანაირად გავცემდი პასუხს". თუმცა, მაგალითად, News.on.ge-მ ჟურნალისტური სტანდარტების დაცვით, სათაურშივე მიუთითა, რომ ელისაშვილის ეს განცხადება იყო სექსისტური, ხოლო მასალის ბექგრაუნდში განმარტა, რომ ასევე სექსისტური იყო წულუკიანის განცხადებაც, რაზეც გამოეხმაურა ელისაშვილი;

- მონიტორინგის პერიოდში kvira.ge-ზე გამოაქვეყნდა რამდენიმე მასალა, რომელშიც რესპონდენტები ახდენდნენ ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერის გენდერული ნიშნით დისკრიმინაციას, მაგალითად: "ნიკოლოზ მჭედლიშვილი: აქამდე ვიცოდი, რომ მელია დედლებს ჭამდა საქათმეში, ახლა მელია თვითონ არის დედალი და მდედრები აიფარა ფარად" (17 თებერვალი), ზაალ ანჯაფარიძე – ნიკა მელიაზე: თუ ასეთი უშიშარ-უხორცოა და გმირი, რაღატომ აიფარა წინ ქალები, ახალგაზრდები და ამდენი „ფილარმონია" პოლიტიკოსი (17 თებერვალი);

- ambebi.ge ხშირად აქვეყნებს პოლიტიკოსების პირადი ცხოვრების შესახებ ე.წ. ყვითელ ამბებს, რომლებითაც ხშირად ხდება გენდერული სტერეოტიპების წახალისება. მაგალითად, გენდერულ უთანასწორობას და ოჯახში კაცის უპირატეს როლზე სტერეოტიპს ახალისებს პარლამენტარ კახა კუჭავას ცოლის განცხადებები, რომლებსაც

გამოცემა 24 თებერვალს გამოქვეყნებულ სტატიაში ("კახას ტელევიზორში უფრო ხშირად ვხედავ, ვიდრე სახლში" - "ოცნების" დეპუტატის ოჯახური ცხოვრება და რუსი მეუღლე, რომელიც საქართველოს პოპულარიზაციას ეწევა") გვთავაზობს: "ამავე დროს, ქმარი ოჯახის უფროსია და ბევრ საკითხში ვუსმენ მას. ქმარი ანთებს ცეცხლს, ცოლი კი მხარს უჭერს მას - ეს ეხება ჩვენს ცხოვრებას".

- ambebi.ge-ს კიდევ ერთ სტატიაში - "ნიკა მელიას პირადი ცხოვრება - გასაიდუმლოებული რომანი და ქალი, რომელმაც პოლიტიკოსს ვაჟი გაუჩინა" (25 თებერვალი) - სათაურშივე იკითხება ქალის დაკნინებული როლი - ქალის მხოლოდ რეპროდუქციული ფუნქცია;